ოქმი:**ო63. 6324333001**
თარიღი:**28/11/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 19

ქ. სამტრედია. 25 ნოემბერი, 2024 წელი.

2024 წლის 25 ნოემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, კობა ძიძიგური, აკაკი მინაშვილი, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს ხელმძღვანელი,

   კობა ბიბილეიშვილი.

2. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს ხელმძღვანელი, ელგუჯა კალაძე.

3. ა.(ა).ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება''-ს ხელმძღვანელი, ხათუნა გაგუა.

4. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს ხელმძღვანელი, ტატიანა გოგუაძე. ბუღალტერი, ციცინო ქაჯაია.

5. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის'' ხელმძღვანელი, სოფიო კირთაძე.

6. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან ახობაძე.

7. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს ხელმძღვანელი, ვეფხია სტურუა.

8. ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი -სამტრედია“-ს ხელმძღვანელი, გიორგი

ხელისუფალი.

9. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა''-ს ხელმძღვანელი, ივანე კილტავა.

10. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს ხელმძღვანელი, ალექსანდრე სტურუა.

11. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს ხელმძღვანელი, ვეფხია ნადირაძე. ბუღალტერი, ენძელა პატარიძე.

12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნათელა ხაბეიშვილი.

13. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

14. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნატო ჯულაყიძე.

15. გაზეთი ,,სამტრედიის მაცნე''-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.

სხდომის თავმჯდომარემ, ვაჟა სტურუამ, აღნიშნა - ,,ვიდრე დავიწყებდე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას, მინდა ავღნიშნო ის უდიდესი გულისტკივილი, რომელიც თითოეულ ჩვენგანშია ბატონი ნუგზარ ჯამბურიას გარდაცვალების გამო. მოგეხსენებათ, ნუგზარ ჯამბურია, 2014 წლიდან 10 წლის განმავლობაში, უძღვებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობას. ღირსეულად, მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით განიხილავდა თითოეულ საკითხს. მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია ჩვენი გუნდისათვის და მთლიანად სამტრედიისთვის. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ მის ოჯახს და თითოეულ თქვენგანს. გთხოვთ, წუთიერი დუმილით, პატივი მივაგოთ მის ხსოვნას''. (საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით, პატივი მიაგეს საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, ხსოვნას).

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის **25 ნოემბრის** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის **25 ნოემბრის** სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63. 63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის

დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335911 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

5. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335917 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის'' 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის № გ-63. 632335914 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი - ჯიკო“-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335919 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 5 დეკემბრის Nგ-63.632335920 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

9. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ხელბურთელთა კლუბი - სამტრედია“-ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335921 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

10. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ- 63.632335922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

11. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2024 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ,'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335924 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

12. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

13. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. უღრელიძე./

14. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის, უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე./

15. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე./

16. სხვადასხვა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **კომუნალური გაერთიანების**'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 ნოემბრის*** N62-622432095 წერილობითი მომართვის საფუძველზე, ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **კომუნალური გაერთიანება''-ს** 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, 88.0 ათ.ლარით იზრდება 2024 წლის ბიუჯეტი, რომელიც განისაზღვრა 2290.40 ათ.ლარის ნაცვლად 2378.40 ათ.ლარი. აღნიშნული თანხიდან 65.1 ათ.ლარით იზრდება საქონელი და მომსახურეობის გეგმა, 22.9 ათ.ლარით არაფინანსური აქტივის გეგმა. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. შრომის ანაზღაურების ხარჯის მუხლში, თანხა მცირდება 4.0 ათ.ლარით და შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის მუხლში თანხა იზრდება 4.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით),დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **კომუნალური გაერთიანების**'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"** -ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63. 63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 ნოემბრის*** N 62-622432092 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''-ს** 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2024 წლის სუბსიდიის გეგმა იზრდება 7.0 ათ.ლარით და განისაზღვრა 748.5 ათ.ლარით. კერძოდ, საქონლის და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 7.0 ათ.ლარით (სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის გეგმა, რომელიც გამოწვეულია საახალწლო დეკორაციების შეძენა/ დამზადებისათვის). ასევე სუბსიდიის გეგმაში ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, არაფინანსური აქტივის ზრდის გეგმა მცირდება 7.2 ათ.ლარით; სხვა ხარჯების გეგმა 0.4 ათ.ლარით. შესაბამისად, საქონელი და მომსახურების ხარჯის გეგმა იზრდება 7.6 ათ.ლარით. საქონელი და მომსახურების ხარჯის გეგმა მცირდება 1.0 ათ.ლარით; შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის გეგმა იზრდება 1.0 ათ.ლარით. საკუთარი შემოსავლების ხარჯების გეგმაში ასევე ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, არაფინანსური აქტივის ზრდის გეგმა მცირდება 5.0 ათ.ლარით, შესაბამისად საქონელი და მომსახურების ხარჯის გეგმა იზრდება 5.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"** -ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63. 63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა **(ბაღები და ბაგა-ბაღები)** გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის***

15 ნოემბრის N62.622432094 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა **(ბაღები და ბაგა-ბაღები)** გაერთიანება''-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, არაფინანსური აქტივის მუხლში თანხა მცირდება 10.0 ათ.ლარით. შესაბამისად, თანხა იზრდება დამქირავებლის მიერ გაცემული სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის მუხლში (დეკრეტული შვებულების გასაცემად) 8.0 ათ.ლარით, საქონელი და მომსახურების ხარჯის მუხლში 2.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა **(ბაღები და ბაგა-ბაღები)** გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს** 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335911 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 ნოემბრის*** N 62-622432096 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი''-ს** 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. 2024 წლის სუბსიდიის გეგმა იზრდება 6.0 ათ.ლარით. კერძოდ, საახალწლო-საშობაო ღონისძიებებთან დაკავშირებით საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 6.0 ათ.ლარით, კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების და სატრანსპორტო ხარჯებისათვის.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს** 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335911 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის **მიზნობრივი სოციალური პროგრამის** დამტკიცების შესახებ“, 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335917 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 19 ნოემბრის N 62-622432417 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამსახურის 2024 წლის **მიზნობრივი სოციალური პროგრამაში.** სოციალური ბიუჯეტი იზრდება - 200 000 -ლარით;

კერძოდ, გაიზარდოს:

მუხლი 1. ,,მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება'' 35 000 ლარით;

მუხლი 17. ,,ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში" 70 000 ლარით;

მუხლი 5. ,,ახალშობილთა დახმარება'' 22 000 ლარით;

მუხლი 16. ,,შ.შ.მ. პირების ფინანსური დახმარება'' 13 000 ლარით;

მუხლი 25. ,,მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება'' 18 000 ლარით;

მუხლი 24. ,,აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია'' 63 000 ლარით;

მუხლი 22. ,,სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯები'' 1 000 ლარით;

შესაბამისად შემცირდეს:

მუხლი 14. ,,მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება'' 22 000 ლარით;

საკითხი ერთობლივად განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებმა. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის **მიზნობრივი სოციალური პროგრამის** დამტკიცების შესახებ", 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335917 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **საინფორმაციო ცენტრის**'' 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის № გ-63. 632335914 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 ნოემბრის N 62-6224320100 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **საინფორმაციო ცენტრი"** -ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2024 წლის ბიუჯეტში ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, არაფინანსური აქტივების მუხლში თანხა მცირდება 0.1 ათ.ლარით და შესაბამისად, საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხა იზრდება 0.1 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება,

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **საინფორმაციო ცენტრის**'' 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის № გ-63. 632335914 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, **„საფრენბურთო კლუბი - ჯიკო"-ს** 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335919 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 ნოემბრის N 62-622432098 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. **„საფრენბურთო კლუბი ჯიკო** ''-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. 2024 წლის ბიუჯეტი იზრდება 3,0 ათ. ლარით. კერძოდ, საქონელი და მომსახურების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 3.0 ათ.ლარით (არსებული წყლის ჭაბურღილის აღდგენა რეაბილიტაციისათვის). ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა მცირდება 2.2 ათ.ლარით; საქონელი და მომსახურების ხარჯის მუხლში 6.0 ათ.ლარით და შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის გეგმა იზრდება (დეკრეტული შვებულების გასაცემად) 2.2 ათ.ლარით, ხოლო სხვა ხარჯის გეგმა 6.0 ათ.ლარით (სპორტული ღონისძიებების მოსაწყობად).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, **„საფრენბურთო კლუბი - ჯიკო"-ს** 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335919 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **საჭიდაო კლუბი ფალავანი"-ს** 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 5 დეკემბრის Nგ-63.632335920 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 ნოემბრის წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **საჭიდაო კლუბი ფალავანი"-ს** 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2024 წლის სუბსიდიის გეგმა იზრდება 3.0 ათ.ლარით და განისაზღვრება სულ 321.8 ათ.ლარით. აღნიშნული თანხით იზრდება არაფინანსური აქტივების გეგმა. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, სხვა ხარჯების გეგმა მცირდება 5.4 ათ.ლარით, შესაბამისად არაფინანსური აქტივების გეგმა იზრდება 5.4 ათ.ლარით (საჭიდაო დარბაზში 2 ცალი დასადგამი გამათბობელ-გამაგრილებლის შესაძენად).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს** 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 5 დეკემბრის Nგ-63.632335920 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, **ხელბურთელთა კლუბი** - სამტრედია“-ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335921 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 ნოემბრის N 62-622432099 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **ხელბურთელთა კლუბი - სამტრედია“ -ს** 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. საკუთარი შემოსავლის გეგმა იზრდება 0.50 ათ.ლარით, კერძოდ სხვა ხარჯების გეგმა. ზემოთ აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია კლუბის გუნდის მიერ მე-2 საპრიზო ადგილის დაკავებით თბილისის ხელბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირზე „თბილისის თასი ქვიშის ხელბურთში“. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება საკუთარ შემოსავალებში. კერძოდ, საქონელი და მომსახურების გეგმა მცირდება 19.9 ათ.ლარით, შესაბამისად სხვა ხარჯის გეგმა იზრდება 19.9 ათ.ლარით. გარდა ამისა ითხოვს მუხლობრივ ცვლილებას სუბსიდიის გეგმაში, კერძოდ არაფინანსური აქტივის მუხლში თანხა მცირდება 0.8 ათ.ლარით და შესაბამისად საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა იზრდება 0.8 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, **ხელბურთელთა კლუბი** - სამტრედია“-ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335921 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **კომპლექსური სპორტული სკოლის**'' 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ- 63.632335922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 ნოემბრის N62-622432097 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **კომპლექსური სპორტული სკოლა“** -ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, სუბსიდიის გეგმა იზრდება 1.0 ათ.ლარით და განისაზღვრება სულ 333.4 ათ.ლარით. შესაბამისად ხარჯების ნაწილში საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხა იზრდება 1.0 ათ.ლარით. (ცვლილება გამოწვეულია მძლეოსნობის სპორტული კალენდრის დაუგეგმავი ცვლილებით).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **კომპლექსური სპორტული სკოლის**'' 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, **,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს** მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2024 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ,'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335924 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 ნოემბრის N62-6224320101 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, **შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი სამტრედია''** -ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. სპორტული კომპლექსის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ დროებით სარგებლობაში მყოფი საცურაო აუზი სრული დატვირთვით აგრძელებს ფუნქციონირებას. აქედან გამომდინარე ითხოვს 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებას. კერძოდ შრომის ანაზღაურების მუხლში თანხის შემცირებას 0.2 ათ.ლარით; სოციალური უზრუნველყოფის მუხლში 5.7 ათ.ლარით; არაფინანსური აქტივების მუხლში 1.7 ათ.ლარით, შესაბამისად, საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხის გაზრდას 7.6 ათ.ლარით. ასევე ითხოვს საკუთარი შემოსავლით გასაწევი ხარჯებიდან სოციალური უზრუნველყოფის მუხლში თანხის შემცირებას 2.0 ათ.ლარით, არაფინანსური აქტივების მუხლში 3.0 ათ.ლარი, შესაბამისად, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხის გაზრდას 5.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, **,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს** მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2024 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ,'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335924 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს** 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 22 ნოემბრის*** N62-622432746 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი''-ს 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილების

შეტანის საკითხს. 2024 წლის ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების გეგმა იზრდება 50,0 ათ.ლარით. კერძოდ, ხარჯებში საქონელი და მომსახურების მუხლში (მივლინება ქვეყნის გარეთ) თანხა იზრდება 50,0 ათ.ლარით. ზემოთ აღნიშნული გამოწვეულია ინდოეთში სპექტაკლის, ,,12 განრისხებული მამაკაცი''-ს, მოსალოდნელი გასტროლით. აღნიშნულ თანხას აფინანსებს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს** 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებაში შეტანილი 2024 წლის 5 ნოემბრის N 1603 ცვლილების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში, მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები განესაზღვრა 9 142,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა მთავრობით შეადგენს - 8 217,9 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება შეადგენს - 924,4 ათას ლარს. შესაბამისად, შემცირდა (**კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობით - 11,0 ათ.ლარით.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 იანვრის N56 განკარგულებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი თანხა გაიზარდა 42.5 ათასი ლარით და შესაბამისად, გაიზარდოს **(04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების გეგმა 42.5 ათასი ლარით.**

მიმდინარე პერიოდის გეგმა-ფაქტის ანალიზიდან გამომდინარე მოწესრიგდეს შემოსულობების გეგმა და **გაიზარდოს სულ = 2 426,3 ათასი ლარით** ;

- არაფინანსური აქტივების კლების გეგმა **- 2 301,3 ათასი ლარით;**
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის **- 125,0 ათასი ლარით;**

შემცირდეს სულ = 1180,7 ათასი ლარით:

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - **949,0 ათასი ლარით;**

- სანებართვო მოსაკრებელი **-11,0 ათ.ლარით;**

- შემოსავლები მომსახურების გაწევიდან **- 7,4 ათასი ლარით;**

- ჯარიმები, სანქციები და საურავები **- 68,4 ათასი ლარით;**

- ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე **- 100,0 ათასი ლარით;**

- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი **- 4,9 ათასი ლარით;**

- პროცენტები **- 40,0 ათასი ლარით;**

აქედან გამომდინარე განაწილდეს ხარჯები კერძოდ, გაიზარდოს სულ = 1 245,6 ათასი ლარით:

- **(02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** სხვა ხარჯების გეგმა **-** 194,7 ათასი ლარით;

- **(04 04 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის** არაფინანსური აქტივების გეგმა - 8,4 ათასი ლარით;

- **(03 02 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა - 7.0 ათასი ლარით.

- **(05 01 02 07 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანის** არაფინანსური აქტივების გეგმა - 3,0 ათასი ლარით;

- **(04 03 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის** სუბსიდიის გეგმა - 6.0 ათასი ლარით.

- **(05 01 02 03 კოდი) ა.(ა).ი.პ. საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"-ს** სუბსიდია - 3,0 ათასი ლარით;

- **(03 01 კოდი) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების** სუბსიდია გაიზარდოს - 65,1 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა - 22,9 ათასი ლარით; სულ= 88,0 ათასი ლარით;

- **(05 01 02 02 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის** სუბსიდიის გეგმა -1,0 ათასი ლარით;

- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა -25,4 ათასი ლარით; (ბორანის მოწყობისათვის)

- **(05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** სხვა ხარჯების გეგმა გაიზარდოს - 30,0 ათასი ლარით;

- **(902 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 10,0 ათასი ლარით;

- **(02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების გეგმა - 669,1ათასი ლარით;

- **(06 02 04 კოდი) სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების** გეგმა გაიზარდოს -200,0 ათასი ლარით;

მუხლობრივი ცვლილებები:

- **(03 02 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს

-7,2 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სუბსიდიის გეგემა.

- **(01 01 01 კოდი) სამტრედიისმუნიციპალიტეტის საკრებულოს საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს 7,0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სოციალური უზრუნველყოფის გეგმა;**

- **(05 01 02 07 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი''-ს სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 5,4 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს** არაფინანსური აქტივების გეგმა;

- **(05 04 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 0.1 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სუბსიდიის გეგმა;

- **(04 01 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 10,0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სუბსიდიის გეგმა.

- **(05 01 02 04 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"-ის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 0,8 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სუბსიდიის გეგმა.

„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N1025 განკარგულებით გამოყოფილი **თანხის ფარგლებში განხორციელდეს მუხლობრივი ცვლილება კერძოდ:**

- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა მთავრობით** შემცირდეს **83,6 ათასი** ლარით და ადგილობრივი თანადაფინანსებიდან **28,7 ათასი** ლარით.

- **(02 02 02 კოდი) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის საქონელი და მომსახურება გეგმა** მთავრობიდან შემცირდეს **11,0 ათასი** ლარით და ადგილობრივი თანადაფინანსებიდან **3,7** ათასი ლარით.

და შესაბამისად გაიზარდოს:

- (**02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა** გაიზარდოს მთავრობიდან **93.8 ათასი** ლარით და ადგილობრივი თანადაფინანსებიდან **32.2 ათასი** ლარით.

- (**02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა** გაიზარდოს მთავრობიდან 0.**8 ათ.** ლარით და ადგილობრივი თანადაფინანსებიდან **0.2 ათასი ლარით.**

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის N746 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი კაპიტალური გრანტით დარჩენილი ეკონომიის ფარგლებში შემცირდეს **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა 8,8 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს (**02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა 8,8 ათასი ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის, **უფლებამოსილების შეწყვეტის** შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ''ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის და მე-6 პუნქტის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა, საკრებულოს წევრის, ნუგზარ ჯამბურიას (გარდაცვალების გამო), უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ნუგზარ ჯამბურიას, გარდაცვალების გამო, შეუწყდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება 2024 წლის 18 ნოემბრიდან,

- ცნობად იქნას მიღებული, ნუგზარ ჯამბურიას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის, **უფლებამოსილების შეწყვეტის** შესახებ''.

დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრის **უფლებამოსილების ცნობის შესახებ**''.

მომხსენებელმა გააცნო, ***N54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის 2024 წლის 18 ნოემბრის N54/77 წერილობითი მომართვა.*** რომელიც ეხება, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით, 2024 წლის 26 ოქტომბერს გამართული თვითმმართველი თემის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებში, N54.11 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული საკრებულოს მაჟორიტარი წევრის - როლანდ ეცადეიშვილის უფლებამოსილების ცნობისთვის საჭირო დოკუმენტაციას.

1. N54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის საოლქო მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი (2 ფურცელი).

2. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის სააღრიცხვო ბარათი (1 ფურცელი).

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა

შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, ცნობილი იქნას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრის, როლანდ ეცადეიშვილის, უფლებამოსილება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრის **უფლებამოსილების ცნობის შესახებ**''.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი